

დანართი N1

დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები

1. პროექტის განხორციელების ადგილი: ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. №52ბ; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 03.01.21.597 (დანართი; მშენებარე ავტოგასამართი სადგურის ფოტომასალა)
2. მონაცემები საწარმოს შესახებ- მოცემულია ცხრილი N1-ში

ცხრილი N1

დასახელება	ფ/პ ეკატერინე აბესაძე
ფაქტობრივი მისამართი	ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. №52ბ;
იურდიული	ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. №52ბ;
პირადი ნომერი	60001034954
GPS კოორდინატები (UTM WGS 1984 კოორდინატთა სისტემა)	X – 302800; Y – 4681200;
ობიექტის ხელმძღვანელი:	
გვარი, სახელი	ეკატერინე აბესაძე
ტელეფონი:	593 208300
ელ-ფოსტა:	qetevangviniashvili@gmail.com
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	260 m.
ეკონომიკური საქმიანობის სახე	ავტოგასამართი სადგური
გამოშვებული პროდუქციის სახეობა	რეალიზებული/გადატვირთული ბენზინი - 2 000 000 რეალიზებული/გადატვირთული დიზელი - 2 000 000 ლ
საპროექტო წარამადობა	რეალიზებული/გადატვირთული ბენზინი - 2 000 000ლ წელიწადში; რეალიზებული/გადატვირთულ დიზელი - დიზელი 2 000 000ლ წელიწადში
სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	365
სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში	24 სთ

**3. საწარმოს განთავსების ადგილი:** ავტოგასამართი სადგური მოწყობილია (და მასთან ერთად ნავთობპროდუქტების საცავები) ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქ. №52ბ-ში; არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ს/კ 03.01.21.597 რომელიც წარმოადგენს ეკატერინე აბესაძის საკუთრებას. მიწის ნაკვეთის ფართობია 1089 მ<sup>2</sup>.

ავტოგასამართი სადგური განთავსებულია რკინის კონსტრუქციებით მოწყობილ გადახურული ნაგებობის ქვეშ, ხოლო საწვავის რეზერვუარები განთავსებულია მიწისქვეშ, ჰორიზონტარულად.

მიწის ნაკვეთი, სადაც ავტოგასამართი სადგურია მოწყობილი წარმოადგენს ტექნოგენურად უკვე სახეცვლილ ტერიტორიას. ავტოგასამართი სადგურის მოწყობისას და ფუნქციონირებისას მიმდებარე ლანდშაფტზე ახალი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

ავტოგასამართი სადგური აშენებულია ქალაქ ქუთაისის სამრეწველო უბანში.

**4.საქმიანობის მასშტაბი:** ავტოგასამართი სადგური გეგმავს წლიურად მოახდინოს

2 000 000 ლ ბენზინის და 2 000 000 ლ დიზელის საწვავის მიღება-გაცემა/რეალიზაცია;

**5. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა:** ტერიტორია, სადაც ავტოგასამართი სადგურია მოწყობილი, წარმოადგენს მოსწორებულ, მცენარეული საფარისგან თავისუფალ მიწის ნაკვეთს. ჭარბტენიან, ტყის ზოლთან და დაცულ ტერიტორიებიდან საკმაოდაა დაშორებული. ამ ეტაპზე აშენებულია საოფისე შენობა, საოპერატორო, ტუალეტი მომხმარებლებისთვის.

ავტოგასამართ სადგურზე იგეგმება 2 ტიპის საწვავის ბენზინის და დიზელის რეალიზაცია, საწვავის მიღება-შენახვისათვის დამონტაჟებულია ორი ერთეული მიწისქვეშა რეზერვუარი. რომელთა მოცულობებია: I- დიზელის რეზერვუარი 14 მ<sup>3</sup> მოცულობის, რომლის L- 4,25 მ; D-1,99 მ; II- ბენზინის რეზერვუარი 16 მ<sup>3</sup> მოცულობის, რომლის L- 5,2 მ; D-2,0 მ; რეზერვუარები განთავსებულია მიწისქვეშა სარკოფაგებში, სიცარიელები შვსებულია ქვიშ-ლორდის ფრაქციით. რეზერვუარების სასუნთქი სარქველების სიმაღლე H=2 მეტრი, დიამეტრით D=0,05 მ. რეზერვუარები დაფარულია ანტიკოროზიული ნივთიერებით.

ავტოგასამართი სადგურის რეზერვუარებში საწვავის მიღება განხორციელდება ავტოცისტერნების საშუალებით, რომელიც უნდა დაერთდეს ტერიტორიაზე განთავსებულ ჩამსხმელ დგარებზე. მიწისქვეშა მილსადენების საშუალებით რეზერვუარები მიერთებული იქნება ორ საწვავ-მარიგებელი სვეტთან. რომელიც განთავსდება რკინის კონსტრუქციის გადახურულ ნაგებობის ქვეშ.

ავტოგასამართი სადგური გათვალისწინებულია ბენზინისა და დიზელის საწვავის მომხმარებელზე რეალიზაციისათვის, რომლის წლიური მაქსიმალური ჯამური რაოდენობა მოსალოდნელია 4 000 000ლ-ის ოდენობით. (2 000 000 დიზელის საწვავი და 2 000 000 ბენზინი.)

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე განთავსდება მეხამრიდი, რომელიც სრულად დაფარავს სარეზერვუარო პარკს, მარიგებელ სვეტს და შენობა-ნაგებობას.

ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღება-გაცემა განხორციელდება ავტომატური რეჟიმით.

5. **დანადგარის განთავსების კოორდინატები:** ავტოგასამართი სადგური მოეწყობა X – 302800; Y – 4681200 კოორდინატებში;
6. **საპროექტო წარმადობა:** 4 000 000 ლ (2 000 000ლ დიზელის და 2 000 000ლ ბენზინის) თხევადი საწვავის მიღება/გაცემა;
7. **სამუშაო დღეთა რაოდენობა:** 365 დღე
8. **სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში:** 24 სთ;
9. **გამოყენებული რესურსები:** ავტოგასამართი სადგურის მოწყობა ფუნქციონირებისას რაიმე სახის ბუნებრივი რესურსების გამოყენება არ იგეგმება.
10. **დაშორება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან:** 260 მ.
11. **მიწის ნაკვეთს-** აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ესაზღვრება კერძო მესაკუთრეთა მიწის ნაკვეთებთან მისასვლელი გზები. ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, სამხრეთიდან საავტომობილო გზა, ავტომშენებლის ქუჩა.
12. **გამოყენებული საწვავი:** არ გამოიყენებს საწვავს
13. **ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტები:** ავტოგასამართი სადგურის შემადგენელი ინფრასტრუქტურული ელემენტებია:
  - ოფისი-საოპერატორო;
  - სარეზერვუარო პარკი;
  - საწვავის მარიგებელი სვეტები;
  - ავტოცისტერნის დაცლის პლატფორმა;
  - დაღვრილი საწვავის შემკრები ღარები და სალექარი;
  - დაღვრილი ნავთობპროდუქტების შემკრები ჭა;
  - ფასის მაჩვენებელი ტაბლო;
  - ტუალეტი;
14. **ტექნოლოგიური სქემა:** საწვავის მიღება მოხდება ავტოცისტერნებით. საწარმოს ტერიტორიაზე შემოსული ავტოცისტერნა დაერთდება რეზერვუარების ჩამსხმელ დგარზე, რომლის მეშვეობით მოხდება საწვავის რეზერვუარებში განთავსება. საწვავის მიღებისას ჯერ მოხდება ავტოცისტერნის დაერთება დამიწების ჭანჭიკზე და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება საწვავის მიღების პროცესი. რეზერვუარებიდან მოხდება საწვავის გამცემი სვეტებისთვის მიწოდება და მომხმარებლებზე გაცემა. ყველა პროცესი განხორციელდება ავტომატურად.

საწარმოში მუშაობა იგეგმება 24 საათიანი ცვლის ხანგრძლივობით. წელიწადში სამუშაო დღეთა რაოდენობა არის 365 დღე, საწარმოში სავარაუდოდ იმუშავენ შვიდი ადამიანი. საწარმო ენერგორესურსის სახით გამოიყენებს ელექტროენერგიას.

**15. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში:**

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს უმნიშვნელოდ, ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებით; ასევე ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების უმნიშვნელო დაბინძურებით;

**ა. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე:**

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი აქვს საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა (ნახშირწყალბადები) წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ ნახშირწყალბადების მაქსიმალური ინტენსივობები ფიქსირდება ავტოცისტერნებიდან რეზერვუარებში ნავთობპროდუქტების მიღებისას და გაცემისას.

ქვემოთ ცხრილ-1-ში მოცემულია ავტოგასამართი სადგურიდან მოსალოდნელი გაფრქვევის მავნე ნივთიერებების კოდი, ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მნიშვნელობები და საშიშროების კლასი.

ცხრილი 1.

მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები

#	მავნე ნივთიერების დასახელება	კოდი	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია(ზდკ) მგ/მ <sup>3</sup>		საშიშროების კლასი
			მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღეღამური	
1	2	3	4	5	6
1.	ბენზინის ორთქლი	311	5	-	4
2.	დიზელის საწვავის ორთქლი	314	1		4

როგორც უკვე აღინიშნა, ავტოგასამართი სადგურიდან მავნე ნივთიერებების გაფრქვევების ინტენსივობების მაქსიმალური ჯამური მნიშვნელობები მიიღება საწვავის მიღებისას და ავტომობილების გამართვისას.

გამომდინარე იქიდან, რომ საწარმო გეგმავს ორი სახეობის საწვავის რეზერვუარების ფუნქციონირებას. საწარმოს მუშაობისას ადგილი ექნება გაფრქვევას ორი უბნიდან, 1) დიზელის უბანი; 2) ბენზინის უბანი.

1 ლიტრი დიზელის საწვავისათვის რელიზაციისას ატმოსფეროში გაიფრქვევა 0,0025 გ ნახშირწყალბადები, ხოლო 1 ლიტრი ბენზინის რელიზაციისას 1,4გ ნახშირწყალბადები.

ერთი წლის განმავლობაში ავტოგასამართი სადგური მაქსიმუმ 2 000 000 ლიტრს დიზელის საწვავის და 2 000 000 ლიტრი ბენზინის რეალიზაციას მოახდენს.

აქედან გამომდინარე წლის განმავლობაში ავტოგასამართი სადგურის მიერ გაფრქვეული ნახშირწყალბადების წლიური რაოდენობა ტოლი იქნება:

დიზელის საწვავისათვის:

$$G_{ნახ} = 2\,000\,000 \times 0,0025/10^6 = 0,005 \text{ ტ/წელი}$$

$$M_{ნახ} = 0,005 \times 10^6 / 8760 / 3600 = 0,00015 \text{ გ/წმ}$$

ბენზინისათვის:

$$G_{ნახ} = 2\,000\,000 \times 1,4/10^6 = 2,8 \text{ ტ/წელი}$$

$$M_{ნახ} = 2,8 \times 10^6 / 8760 / 3600 = 0,0887 \text{ გ/წმ}$$

სულ წლიურად ავტოგასამართი სადგურიდან გაიფრქვევა 2.805 ტ ნახშირწყალბადები. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის რაოდენობები მინიმალურია დაშვებული ნორმების ფარგლებშია.

#### **ბ. ხმაურის ზემოქმედება:**

საქმიანობის განხორციელების პროცესში ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო, ვინაიდან ავტოგასამართ სადგურზე არ რის გათვალისწინებული მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარების განთავსება. საწარმოს სპეციფიკის და განთავსების ადგილის გათვალისწინებით გამორიცხულია მოსახლეობაზე და დასაქმებულებზე ხმაურის უარყოფითი გავლენა.

#### **გ. ზემოქმედება ლანდშაფტზე:**

ავტოგასამართი სადგურის მოწყობილია ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენს ათვისებულ, ტექნოგენურად უკვე სახეცვლილ ტერიტორიას. ავტოგასამართის მოწყობისას არ მომხდარა დიდი მოცულობის და ზომების სამშენებლო სამუშაოების განხორციელება რის გამოც ლანდშაფტის სერიოზული ვიზუალური ცვლილება არ მომხდარა.

**დ. ზემოქმედება ნიადაგურ საფარზე და მიწის რესურსებზე-** საწარმოს მოწყობისას და ექსპლუატაციისას მიწის რესურსებაზე ზემოქმედება არ მომხდარა, რადგან ავტოგასამართი სადგური მოწყობილია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე, სადაც არ დაფიქსირებულა მიწის ნაყოფიერი ფენა, ასევე არ გახდა საჭირო დამატებით ახალი მისასვლელი გზების მოწყობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიწის რესურსებზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

**წყალაღება** - ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას წყალი საწარმოო მიზნებისათვის არ გამოიყენება, წყალი გამოიყენება მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის.

**სანიაღვრე ჩამდინარე წყლები** - რადგან ავტოგასამართი სვეტი განთავსებული იქნება გადახურული ნაგებობის ქვეშ, ამიტომ სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი ნავთობპროდუქტებით არ არსებობს. ობიექტის პერიმეტრზე (გადახურვის გარეთ დარჩენილი) მოხვედრილი ნალექების შედეგად წარმოშობილი წყლები ჩაედინება ქალაქის სანიაღვრე არხში, რომელიც მდებარეობს საავტომობილო გზის და დაგეგმილი ავტოგასამართი სადგურის საზღვარზე. სანიაღვრე არხი არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, შესაბამისად გაურკვეველია მესაკუთრის ვინაობა.

**საყოფაცხოვრებო წყლები** - წყლით მომარაგება მოხდება ქალაქის წყალმომარაგების სისტემიდან. გამოყენებული წყალი და ტუალეტი ჩაშვებული იქნება ტერიტორიაზე მოწყობილ, ბეტონის კედლიან (წყალგაუმტარ) საკანალიზაციო ჭაში, რომლის დაცლა მოხდება საჭიროების მიხედვით, შპს „სანიტართან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ავტოგასამართი სადგურის მოწყობის და ექსპლუატაციის ფაზებზე წყლის გარემოზე ზემოქმედების რისკი შეიძლება შეფასდეს, როგორც დაბალი ხარისხის ზემოქმედება.

**ზედაპირულ წყლებზე ზემოქმედება** - დაგეგმილი ავტოგასამართის სიახლოვეს არ არსებობს მდინარე, შესაბამისად გამორიცხულია მდინარის დაბინძურება.

**ზემოქმედება ფლორასა და ფაუნაზე:** ავტოგასამართის მოწყობისას არ არის დაგეგმილი საწარმოს ტერიტორიაზე ხე-მცენარეების მოჭრა. საწარმოს ტერიტორიაზე და მის უშუალო სიახლოვეს არ ფიქსირდება მრავალწლიანი მცენარეული სახეობები, მით უმეტეს საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობები. ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლები.

### **ვ. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები:**

ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისას არ მომხდარა ნამეტი ოდენობის მასალების შექმნა. მიწის სამუშაოებისას წარმოშობილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნა ტერიტორიის მოსაშენდაკებლად. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე არ მომდარა ინერტული ნარჩენების წარმოქმნა.

საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება მოხდება კონტეინერული სისტემის გამოყენებით. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას უზრუნველყოფს ქალაქის მუნიციპალური დასუფთავების სამსახური. ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე მოწყობილი იქნება ნარჩენების უბანი, სადაც განთავსებული იქნება ნაგვის ურნები დასტიკვრებული სხვადასხვა ნარჩენებისთვის ინდივიდუალურად.

საწარმოს ოპერირებისას მოსალოდნელია პრაქტიკულად მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა (წელიწადში მაქსიმუმ 0,5 მ<sup>3</sup>-ის ოდენობით). სახიფათო ნარჩენების (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულ ჩვრები და სხვა სახიფათო ნარჩენები) და ასევე სალექარში დაგროვილი სახიფათო ნარჩენების მართვა განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული მოთხოვნების გათვალისწინებით, კერძოდ მოხდება მათი დროებითი განთავსება დახურულ კონტეინერებში, შემდგომში მისი გადაცემა ტრანსპორტირების მიზნით, შესაბამისი ნებართვების მქონე ორგანიზაციაზე. კერძოდ, გადაეცემა შპს „სანიტარს“ 6 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. (ხელშეკრულებას წარმოგიდგენთ დანართის სახით).

**ზ. უსაფრთხოება და ავარიული სიტუაციები:** ავტოგასამართი სადგურის ოპერირებისას ავარიული სახით შესაძლებელია მოხდეს თხევადი საწვავის გაცემისას მათი დაღვრა. ავტოგასამართი სადგურის გასაცემი სვეტის მოედნის გარე პერიმეტრზე მოწყობილია არხები, რომელიც მიერთებულია მიწისქვეშა სალექარ ავზთან, სადაც დაღვრის შემთხვევაში ისინი მოხვდებიან. ამით აცილებული იქნება მათი გარემოში მოხვედრა და გარემოს დაბინძურება.

სალექარი წარმოადგენს 0,5 მ<sup>3</sup> მოცულობის ბეტონის რეზერვუარს. რეზერვუარი აღჭურვილი იქნება ტივტივით და ნავთობპროდუქტების მიმღები ორმოთი. ნავთობპროდუქტების მიმღებ ორმოში ჩაფენილი იქნება შლამი.

სახანძრო უსაფრთხოების მიზნით ავტოგასამართ სადგურზე დამონტაჟებული იქნება სახანძრო სტენდი, განთავსდება ცეცხლმაქრები და სახანძრო უსაფრთხოების საშუალებები.

ბენზინგასამართის ტერიტორიაზე ასევე განთავსებული იქნება მეხამრიდი, რომელიც სრულად ფარავს სარეზერვუარო პარკს და მარიგებელ სვეტს და შენობა-ნაგებობას.

ობიექტზე დაცული იქნება შრომის უსაფრთხოების წესები. ავტოგასამართი აღჭურვილი იქნება სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ხანძრის პრევენციას, ისე ადამიანის ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას.

**თ. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე :**

საწარმოს ტერიტორია არ განეკუთვნება ჭარბტენიან, ტყით დაფარულ და დაცულ ტერიტორიას და არ მდებარეობს ასეთი ტერიტორიების სიახლოვეს. აქედან გამომდინარე მათზე რაიმე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

**ი. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება :**

საწარმო ფუნქციონირებით გარკვეულ წვლილს შეიტანს სოციალური პირობების გაუმჯობესებაში. საწარმოში და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ იქნება (დაახლოებით შვიდი ადამიანი), მაგრამ ქვეყანაში არსებული

მდგომარეობის გათვალისწინებით დადებითად იმოქმედებს ადამიანების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს, რაც დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

**კ. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე:**

საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში ადამიანების (იგულისხმება როგორც მომსახურე პერსონალი, ასევე მიმდებარე მაცხოვრებლები) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის.

**ლ. საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება:**

დაგეგმილი ავტოგასამართის სიახლოვეს ანალოგიური პროფილის ობიექტი არ ფიქსირდება. თუმცა ასეთების არსებობის შემთხვევაშიც დაგეგმილი საწარმოს მცირე მასშტაბიდან და ასეთი პროფილის საწარმოების გარემოზე მცირე ზეგავლენის გათვალისწინებით მათი ერთობლივი ფუნქციონირება არ გამოიწვევს გარემოზე ზემოქმედების ნორმების დარღვევას.

**მ. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები:**

ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

დამატებით გაცნობებთ, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილის საფუძველზე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს მიერ ეკატერინე აბესაძის მიმართ 2021 წლის 29 ნოემბერს შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის № 065902 ოქმის (სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე, ავტოგასამართი სადგურის მშენებლობის დაწყებისთვის) საფუძველზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2021 წლის 22 დეკემბერს მიღებული იქნა გადაწყვეტილება.

სასამართლოს დადგენილებას წარმოგიდგენთ დანართის სახით. ეკატერინე აბესაძე დაჯარიმდა



**მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები**

1.1.	<b>შემსრულებელი:</b>	
1.1.1.	სახელწოდება (საფირმო):	შპს სანიტარი
1.1.1.1.	საიდენტიფიკაციო ნომერი:	204927240
1.1.1.2.	იურიდიული მისამართი:	ქ. რუსთავი, გამარჯვების გზატკეცილი #4
1.1.1.3.	საკორესპონდენციო (ფაქტობრივი) მისამართი:	ქ. რუსთავი, გამარჯვების გზატკეცილი #4
1.1.1.4.	<u>წარმომადგენელი (ხელმოწერიპირი):</u>	
1.1.1.4.1.	სახელი და გვარი:	ბესიკ ჭელიძე
1.1.1.4.2.	თანამდებობა/სტატუსი:	დირექტორი
1.1.1.5.	<u>საკონტაქტო მონაცემები:</u>	
1.1.1.5.1.	საკონტაქტო პირის სახელი და გვარი:	ლევან კვიციანი
1.1.1.5.2.	თანამდებობა/სტატუსი:	აღმასრულებელი დირექტორი
1.1.1.5.3.	ტელეფონი:	599 58-31-30
1.1.1.5.4.	ელფოსტა:	<a href="mailto:sanitary@sanitary.ge">sanitary@sanitary.ge</a>
1.1.1.5.5.	<u>საბანკორეკვიზიტები:</u>	
1.1.1.5.6.	ბანკისდასახელება:	საქართველოს ბანკი
1.1.1.5.7.	ბანკისკოდი:	BAGAGE22
1.1.1.5.8.	ანგარიშისკოდი:	GE33BG0000000126078100
1.2.	<b>დამკვეთი</b>	
1.2.1.	სახელი, გვარი/ სახელწოდება:	ეკატერინე აბესაძე
1.2.1.1.	პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი:	60001034954
1.2.1.2.	იურიდიული/საცხოვრებელი მისამართი:	ქ.ჭუთაისი ავტომშენებლის ქN52ბ
1.2.1.3.	საკორესპონდენციო (ფაქტობრივი) მისამართი:	
1.2.1.3.1.	საკონტაქტო პირის სახელი და გვარი:	
1.2.1.4.	თანამდებობა/სტატუსი:	
1.2.1.5.	ტელეფონი:	
1.2.1.6.	ელ. ფოსტა:	<a href="mailto:Qobulashvili56@gmail.com">Qobulashvili56@gmail.com</a>

შემსრულებელი



დამკვეთი: *ე. აბესაძე*

თავი I  
ზოგადი დებულებანი

მუხლი 2: ტერმინთა განმარტება:

- 2.1 თუ მხარეთა დამატებითი შეთანხმებით სხვა რამ არ განისაზღვრება ან/და კონტექსტიდან სხვა აზრი არ გამოდინარეობს, წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
- 2.1.1 ხელშეკრულება – წინამდებარე ხელშეკრულება ნარჩენების გადამუშავება-უტილიზაციის შესახებ, ასევე მისი ნებისმიერი დანართი, სხვა სახის დამატებითი შეთანხმება დადებული მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
- 2.1.2 მხარე – დამკვეთი ან/და შემსრულებელი ან/და შუამავალი კომპანია (კონტექსტიდან გამომდინარე).
- 2.1.3 დანართი – წინამდებარე ხელშეკრულებისან/დასხვა ხელშეკრულების (კონტექსტიდან გამომდინარე) ფარგლებში მხარეთაშორის დადებული/მიღწეული დამატებითი შეთანხმება, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 2.1.4 სხვა ხელშეკრულება – წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ ვალდებულებათა შესრულებასთან დაკავშირებით, მხარეთა შორის დადებული დამატებითი შეთანხმებანი, მათ შორის მიწოდების ხელშეკრულება.
- 2.1.5 მესამე პირი – ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი. გარდა წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებისა.
- 2.1.6 საბანკო დღე – სამუშაო დღე საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისათვის (გარდა შაბათ-კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დასვენების დღეებისა).
- 2.1.7 ფორს-მაჟორი – განსაკუთრებული ვითარება რომლის დროსაც შეუძლებელია მხარე(ებ)ის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულება, მათ შორის: მასობრივი არეულობები, სტიქიური უბედურობები, დაავადებათა მასობრივი გავრცელება/ეპიდემია, სახელმწიფოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მხარეთათვის გადაულახავი, მათგან დამოუკიდებელი გარემოება, რომელთა გათვალისწინებაც არ შეეძლო მხარეს და რომელიც უშუალო უარყოფით/დამაბრკოლებელ ზემოქმედებას ახდენს ხელშეკრულებით მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე.
- 2.1.8 კანონმდებლობა – საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები რომლებიც რატიფიცირებულია საქართველოს მიერ.
- 2.1.9 კანონმდებლობის დისკოზიციური ნორმა – კანონმდებლობის ნორმა, რომლის მიხედვითაც მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა, მათ შორის არსებული ურთიერთობა დაარეგულირონ, კანონმდებლის მოთხოვნისაგან განსხვავებული სახით, საკუთარი შეხედულებისამებრ.
- 2.1.10 უნაღდო ანგარიშსწორება – ანგარიშსწორება მხარეთა შორის საბანკო გადარიცხვების მეშვეობით.

მუხლი 3: ხელშეკრულების მოქმედების სფერო

- 3.1. წინამდებარე ხელშეკრულება წამოადგენს მხარეთა მიერ, ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე, მიღწეულ შეთანხმებას (გარიგებას) რომელიც აწესრიგებს მხარეთა შორის წარმოშობილ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს.
- 3.2. მოცემული ხელშეკრულების შესაბამისად მხარეები განსაზღვრავენ ურთიერთობის ძირითად პირობებსა და სტანდარტებს, ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში;
- 3.3. ხელშეკრულების მუხლებით გათვალისწინებულ თითოეული მხარის უფლებას შეესაბამება მეორე მხარის ვალდებულება და პირიქით.
- 3.4. ხელშეკრულების მუხლებს გააჩნიათ უპირატესი იურიდიული ძალა კანონმდებლობის დისკოზიციურ ნორმებთან მიმართებაში;
- 3.5. თუ ხელშეკრულების მუხლები იძლევიან მათი ურთიერთ-საწინააღმდეგო შინაარსით განმარტების შესაძლებლობას, ურთიერთობის რეგულირებისას გამოიყენება ის მუხლი, რომელიც მისი სათაურიდან გამომდინარე განკუთვნილია სპეციალურად მოსაწესრიგებელი ურთიერთობისათვის, ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში მუხლი რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება დასარეგულირებელი ურთიერთობის შინაარსს.

შემსრულებელი:

დამკვეთი:



*[Handwritten signature]*

თავი II  
ხელშეკრულების საგანი

მუხლი 4: ხელშეკრულების საგანი

- 4.1 ხელშეკრულების ფარგლებში, დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შემსრულებელი ახორციელებს, დამკვეთის საწარმოს ტერიტორიაზე წარმოშობილი სახიფათო ნარჩენების გამოტანას და დროებით განთავსებას შპს სანიტარის ბაზაზე სპეციალურად მოწყობილ უბანზე, შემდგომი გადამუშავება-უტილიზაციის მიზნით.
- 4.2 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას მოახდინოს სახიფათო ნარჩენების განთავსება და გადამუშავება-უტილიზაცია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

მუხლი 5: შეკვეთა მომსახურების მიღების შესახებ

- 5.1. შემსრულებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებას ახორციელებს დამკვეთის მოთხოვნის (შემდგომში „შეკვეთა“) საფუძველზე.
- 5.2. კონტრაქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება ვრცელდება მხოლოდ დამკვეთის მიერ წარმოქმნილ და შეგროვებულ ნარჩენზე.
- 5.3. მომსახურების მიღების მიზნით დამკვეთმა უნდა განახორციელოს შეკვეთა (შემსრულებელს უნდა ეცნობოს) მომსახურების გაწევამდე არანაკლებ ხუთი სამუშაო დღით ადრე.
- 5.4. შეკვეთა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით, დაზღვეული წერილის, მოკლე ტექსტური შეტყობინების, ელექტრონული წერილის ან/და ფაქსის გაგზავნის გზით.
- 5.5. შეკვეთა მიღებულად ითვლება შემსრულებლის მიერ მისი მიღების დადასტურების შემთხვევაში.
- 5.6. დამკვეთმა შეკვეთაში უნდა მიუთითოს, ნარჩენების ადგილმდებარეობა, მათი მოცულობა, სახეობა და მომსახურების მიღებისათვის მისთვის მისაღები დროის პერიოდი, რომელიც დამატებით უნდა შეთანხმდეს მხარეთა შორის.

მუხლი 6: მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 6.1. ხელშეკრულებაში მონაწილეობს ორი მხარე: დამკვეთი კომპანია და შემსრულებელი.
- 6.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან კეთილსინდისიერად სრულად და ჯეროვნად შეასრულონ ხელშეკრულებით ნასკირი ვალდებულებანი.
- 6.3. შემსრულებელი ვალდებულია:
  - 6.1.1. განახორციელოს სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირება, რეციკლირება, სეგრეგაცია, გადამუშავება/უტილიზაცია კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით.
  - 6.1.2. დაიწყო სახიფათო ნარჩენების გადამუშავება/უტილიზაცია მხარეთა შორის შეთანხმებულ ვადაში და აწარმოოს ბრალეული გაჭიანურების გარეშე.
- 6.3. დამკვეთი ვალდებულია:
  - 6.2.1. მოათავსოს სახიფათო ნარჩენები მეტალის სპეციალიზირებულ კასრებში.
  - 6.2.2. შეძლებისდაგვარად მოახდინოს ნარჩენების სეგრეგაცია.
  - 6.2.3. შეავსოს ნარჩენების გადაზიდვის სატრანსპორტო უედდებული (Waste Transfer Note) - სახიფათო ნარჩენის შემთხვევაში გაააქტიუროს გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პლათფორმაზე კანონმდებლობის შესაბამისად.
  - 6.2.4. მიაწოდოს ინფორმაცია შემსრულებელს სახიფათო ნარჩენების სახეობისა და სახეობიდან გამომდინარე განსაკუთრებული რისკის შესახებ.
  - 6.2.5. შემსრულებლის წარმომადგენლის თანდასწრებით, მოახდინოს ტრანსპორტირებისათვის გამზადებული სახიფათო ნარჩენების აწონვა და მიღებული მონაცემები შეიტანოს გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პლათფორმაზე კანონმდებლობის შესაბამისად.

შემსრულებელი:



დამკვეთი:

*[Handwritten signature]*

**მუხლი 7: მომსახურების მიღება**

7.1 სახიფათო ნარჩენების გადამუშავება-უტილიზაციასთან დაკავშირებით, მხარეები ადგენენ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს, რომელშიც აღნიშნება ნარჩენების სახეობა, რაოდენობა და ღირებულება.

**მუხლი 8: კომუნიკაცია.**

- 8.1 მხარეთაშორის კომუნიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წერილობითი, ასევე ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევებში ზეპირი ფორმით.
- 8.2 წერილობითი შეტყობინება მხარეს შესაძლებელია მიეწოდოს როგორც დაზღვეული წერილის, ასევე დეპეშის, ფაქსის ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
- 8.3 შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება მისი ჩაბარების მეორე დღიდან, თუკი მის ჩაბარებას ადასტურებს თვითონ ადრესატი.
- 8.4 იმ შემთხვევაში როდესაც არ არსებობს ადრესატის დადასტურება, შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება მისი გაგზავნიდან 2 საბანკო დღის შემდეგ.
- 8.5 მხარეები ურთიერთობას ახორციელებენ ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართებზე, ხოლო მათი შეცვლის შემთხვევაში კისრულობენ ვალდებულებას დაუყოვნებლივ შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ცვლილების შესახებ.
- 8.6 ხელშეკრულების 8.5 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დაუცველობის შემთხვევაში, შეტყობინება გაგზავნილი ძველ მისამართზე ითვლება ჩაბარებულად 8.4 მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

**თავი III**

**მხარეთა ფინანსური ვალდებულებანი**

**მუხლი 9: ფინანსური ვალდებულებანი**

- 9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებიდან გამომდინარე მხარეთა შორის წარმოიშობა ფინანსური ვალდებულებანი, რომლებიც განისაზღვრება საზღაურის გადახდის, ზიანის მიყენების შემთხვევაში მისი ანაზღაურებისა, ჯარიმის/პირგასამტეხლოს გადახდის და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფულად გადასახდელთან დაკავშირებული ვალდებულებით.
- 9.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით, ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ნაღდი ან უნაღდი ანგარიშსწორების გზით.
- 9.3 იმ შემთხვევაში, თუკი დამკვეთი დაარღვევს ანგარიშსწორების ვადას, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების 10.2 პუნქტში და ასეთი ვადაგადაცილება გადააჭარბებს 10 (ათ) კალენდარულ დღეს, შემსრულებელი უფლებამოსილი იქნება ვადაგადაცილების მე-11-ე დღიდან დავალიანების სრულ დაფარვამდე დაარიცხოს დამკვეთს პირგასამტეხლოს სახით დროულად გადაუხდელი თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, დავალიანების სრულ დაფარვამდე შემსრულებელი უფლებამოსილი იქნება შეაჩეროს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევა დამკვეთისათვის.

**მუხლი 10: მომსახურების ანაზღაურება**

შემსრულებელი:

დამკვეთი:

-----  
[Handwritten signature]



-----  
[Handwritten signature]

- 10.1 ხელშეკრულების მე-4 მუხლში მოცემული მომსახურების განფასება მოცემულია ამავე ხელშეკრულების დანართ N1 ში რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს
- 10.2 დამკვეთი აუნაზღაურებს შემსრულებელს, შესრულებული სამუშაოს ღირებულებას, ყოველი კონკრეტული მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში, შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი ინვოისის საფუძველზე.
- 10.3 ხელშეკრულების დანართში მოცემული ფასები შეიცავს დამატებითი ღირებულების გადასახადს მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების მე-10 მუხლით გათვალისწინებული საზღაურის ოდენობა მოიცავს დამკვეთის საწარმოს ტერიტორიიდან სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ღირებულებას, და ნარჩენის უტილიზაციის ღირებულებას.
- 10.4 გაწეული მომსახურების (ნარჩენების ტრანსპორტირების და უტილიზაციის) ღირებულებას დამკვეთი გადაუხდის შემსრულებელს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 7(შვიდი) კალენდარული დღის ვადაში.

თავი IV  
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 11: მხარეთა პასუხისმგებლობა.

- 11.1 მხარეები ვალდებული არიან აუნაზღაუროთ ერთმანეთს ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი.
- 11.2 მხარეები თავისუფლდებიან ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა განპირობებულია ფორსმაჟორული გარემოებით.

მუხლი 12: ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულების შეწყვეტა.

- 12.1 ხელშეკრულება დადებულია ითვლება ორივე მხრიდან ხელმოწერისთანავე და ძალაშია ერთი წლის ვადით
- 12.2 ხელშეკრულება წყდება:
  - 12.2.1. მხარეთა წერილობით შეთანხმებით, სხვა შემთხვევაში ვადა ავტომატურად გაგრძელებულად ჩაითვალოს.
- 12.3. მხარეებს შეუძლიათ ვადაზე ადრე შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება, მეორე მხარისთვის 20 (ოცი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

მუხლი 13: დავების გადაწყვეტის წესი.

- 13.1. ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი დავა წყდება მხარეთა ურთიერთ შეთანხმებით, შეთანხმების ვერ მიღწევის შემთხვევაში დავის გადაწყვეტა მოხდება საქართველოს საერთო სასამართლოთა მიერ.
- 13.2. მხარეთა შორის ურთიერთობის რეგულაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14: გარდამავალი დებულებანი

- 14.1. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტას.
- 14.2. ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესი იურიდიული ძალა მის ხელმოწერამდე მხარეთა შორის გაფორმებულ ნებისმიერ დოკუმენტზე, შეთანხმებაზე, ან/და ზეპირი მოლაპარაკებით შეთანხმებულ პირობასთან შედარებით.

შემსრულებელი:

-----  
-----



დამკვეთი:

-----  
-----

- 14.3. მხარის მიერ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების გამოყენებლობა, ან დროებით არ გამოყენება არ განიმარტება როგორც ამგვარ უფლებაზე უარის თქმა. უფლებებზე უარის თქმა იურიდიული ძალის მქონეა თუ იგი შედგენილია გარკვევით და წერილობითი ფორმით.
- 14.4. ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერ ცვლილება ძალაში შევა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი დადებულია წერილობით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.
- 14.5. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.
- 14.6. ნებისმიერი საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შემსრულებელი:

Handwritten signature in blue ink.



დამკვეთი:

Handwritten signature in blue ink.

ნარჩენების მართვის მომსახურების ფასები			
Item	აღწერილობა	ერთეული	ქუთაისი
001	<b>ტრანსპორტირება</b>		
00101	სკიპის საიტზე მობილიზაცია/დემობილიზაცია		
00102	ბინების საიტზე მობილიზაცია/დემობილიზაცია	Trip	946
00103	ტულეტების მობილიზაცია/დემობილიზაცია	Trip	676
00104	სკიპის ავტომობილი 10მ3	Trip	811
00105	სკიპის ავტომობილი 5მ3	Trip	946
00106	მცირე სატვირთო რეციკლირებადი ნარჩენისთვის (1.5 ტონამდე)	Trip	811
00107	10მ <sup>3</sup> ვაკუუმის ავტომობილი სლაჯის / დაბინძურებული წყლისთვის	Trip	676
00108 *	10მ <sup>3</sup> ვაკუუმის სახიფათო ნარჩენისთვის	Trip	946
00109	ტრაილერი	trip	946
00110	ავტომობილი ამწეთი (ჰიაბი) (8.5t) - 6X6	Trip	1082
00111*	სპეციალიზირებული ავტომობილი სახიფათო ტვირთებისთვის 7.5ტ	Trip	1893
00112*	სპეციალიზირებული ავტომობილი სახიფათო ტვირთებისთვის 1.5ტ	Trip	946
00113	თვითმცლელი 15მ <sup>3</sup>	Trip	676
00114	თვითმცლელი 20მ <sup>3</sup>	Trip	946
00115	წყლის გადასატანი ავტომობილი	Trip	1082
00116	ბიო ტულეტის გაწმენდა 2ც (ფასში არ შედის მობილიზაცია/დემობილიზაციის თანხა. ფასში გათვალისწინებულია დაბინძურებული წყლის უტილიზაცია, საპონი, ქაღალდი, და სხვა აუცილებელი ქიმიკატები). ყოველი დამატებითი ტულეტი - 40 ლარი..	Trip	946
			811

\* სახიფათო ტვირთებისთვის

დამკვეთი: *ე. აბუაძე*

*52*



შემსრულებელი:

002 - სკიპები, ბინები, მეტალის კასრები, პლასტმასის ურნები, ცელოფნის პარკები, 1 კუბიანი კონტეინერები			
00201	სკიპი (მეტალის ურნა 10მ <sup>3</sup> )	ქირა დღიური	4.00
00202	სკიპი (მეტალის ურნა 5მ <sup>3</sup> )	ქირა დღიური	3.00
00203	მეტალის ურნა 3 ფენიანი (თხევადი ან მყარი ნარჩენისთვის)	შესყიდვა	290.00
00204	ბორბლებიანი ურნა (110 / 220 ლიტრა)	ქირა დღიური	1.00
00205	ბორბლებიანი პლასტმასის ურნა 240ლ	შესყიდვა	240.00
00206	ბორბლებიანი პლასტმასის ურნა 120ლ	შესყიდვა	170.00
00207	ბორბლებიანი პლასტმასის ურნა 1100ლ	შესყიდვა	950.00
00208	პოლიპროპილენის სეპარირების ურნა 240ლ	შესყიდვა	120.00
00209	60 ლიტრიანი პლასტმასის კასრი	ქირა დღიური	0.90
00210	60 ლიტრიანი პლასტმასის კასრი	შესყიდვა	95.90
00211	IBC (1 კუბიანი კონტეინერი თხევადი ნარჩენისთვის)	შესყიდვა	500.00
00212	ცელოფნის სპეციალური პარკი ურნებისთვის	შესყიდვა	2.50
00213	დადგრის საწინააღმდეგო ნაკრები (აბსორბენტები, ბუმები...)	შესყიდვა	640.00
002 - პორტატული ბიო ტუალეტები			
00211	ბიო ტუალეტი (გათვალისწინებულია შეკეთების ხარჯი)	ქირა დღიური	55.00
00212	ბიო ტუალეტი (გათვალისწინებულია შეკეთების ხარჯი)	1 თვის ღირებულება	1500.00
003 - ადამიანური რესურსი			
00301	ზედამხედველი		
00302	მუშა	1 დღე	180.00
00303	ტექნიკის ოპერატორი	1 დღე	80.00
00304	ცხოვრების ხარჯი	1 დღე	95.00
		1 დღე	80.00
004 - არა-სახიფათო ნარჩენის უტილიზაცია			
00401	საჭმლის ბიოდეგრადირებადი ნარჩენი	1კგ	2.17
00402	სამზარეულოს ცხიმი	1ლ	4.90
00403	სამზარეულოს ცხიმით დაბინძურებული წყალი	1ლ	4.90
00404	პლასტმასის ბოთლი / ცელოფნის ნარჩენი	1კგ	0.30
00405	ალუმინის ქილა	1კგ	0.40
00406	ქალაქის, კარდონის ნარჩენი	1კგ	0.30
00407	მინის ნარჩენი	1კგ	0.50
00408	საერთო ნარჩენი (არ ექვემდებარება სეგრეგაციას) დამარხვა	1ტ	135.0
00409	საერთო ნარჩენი (არ ექვემდებარება სეგრეგაციას) დაწვა	1კგ	3.70
00410	ხის ნარჩენი	1კგ	0.40
00411	მეტალის ნარჩენი, მეტალის კასრები	1კგ	0.20
00412	მწვანე ნარჩენი (ბუჩქები, ხეები, ფოთლები)	1მ <sup>3</sup>	30.00
00413	ცარიელი ცემენტის ტომრები	1მ <sup>3</sup>	125.00
00414	საბურავების ნარჩენი	1კგ	0.60
00415	სლაჯი გამწმენდი ნაგებობიდან	1ლ	0.10
00416	დაბინძურებული წყალი (საკანალიზაციო)	1ლ	0.03
00417	დაზიანებული უსაფრთხოების ჩაფხუტი (დაწვა)	1კგ	3.70
00418	გამოყენებული გომემბრანა (დაწვა)	1კგ	3.70
00419	დაზიანებული ტექსტილი (დაწვა)	1კგ	3.70
00420	დაზიანებული ფეხსაცმელი (დაწვა)	1კგ	3.70
00421	პლასტმასის მილები	1მ <sup>3</sup>	143.00
00422	ინერტული ნარჩენი, ასფალტი, ბეტონი, მიწა	1მ <sup>3</sup>	15.00
00423	გამოყენებული ჰაერის ფილტრები (არასახიფათო)	1კგ	1.60

 დამკვეთი: *ე. ა. ბ. ა. ბ. ე*


შემსრულებელი:



005 - სახიფათო ნარჩენის უტილიზაცია			
00501	საღებავის, გამხსნელების ნარჩენი, ქაფი		
00502	ნაბურღი შლამი	1კგ	3.70
00503	გამოყენებული ზეთის და ჰაერის ფილტრები	1მ <sup>3</sup>	559.00
00504	გამოყენებული ზეთი - სინთ./მინერ. (თუ ექვემდებარება რეგენერაციას)	1კგ	3.70
00505	ნავთობპროდუქტით დაბინძურებული თხევადი ნარჩენი (თუ ექვემდებარება ინსინერაციას) - ტრანსმიხის/დიფერენციალის, ჰიდრაფ.	1ლ	3.70
00506	გამოყენებული ანტიფრიზი	1ლ	0.84
00507	ნავთობპროდუქტით დაბინძურებული წყალი	1ლ	2.20
00508	სახ. ნივთიერებებით დაბინძურებული მყარი ნარჩენი	1კგ	3.70
00509	ნავთობპროდუქტით დაბინძურებული მეტალი	1კგ	0.61
00510	გამოყენებული ცეცხლმაქრი	1კგ	0.61
00511	სახ. ნივთიერებებით დაბინძურებული პლასტმასი / რეზინა / ჩვრები	1კგ	3.70
00512	აბრაზიული წმენდისთვის გამოყენებული ქვიშა	1მ <sup>3</sup>	690.00
00513	ელექტროდი	1კგ	4.20
00514	სლაჯი ნავთობის გამწმენდიდან და ტანკერებიდან	1კგ	3.70
00515	სამედიცინო ნარჩენი	1კგ	3.70
00516	ელექტრონული ნარჩენები	1კგ	2.20
00517	აკუმულატორები	1კგ	0.30
00518	ბატარეები	1ც	0.50
00519	ფლუოროცენციული და სხვა ვერცხლის წყლის შემცველი ნათურები	1 ცალი	1.20
00520	პრინტერის გამოყენებული კარტიჯები	1კგ	3.70
00521	დაბინძურებული ტანისამოსი (სამუშაო ტანსაცმელი)	1კგ	3.70
00522	აზბესტი, აზბესტის შემცველი ნარჩენი	1ტ	390.00
00523	მინაბამბა	1კგ	1.80
00524	ტყვიაშემცველი საღებავი	1კგ	4.10
00525	პესტიციდებით დაბინძურებული თხევადი ნარჩენი	1ლ	0.18
00526	პესტიციდებით დაბინძურებული შესაფუთი მასალა (ნეიტრალიზაცია)	1მ <sup>3</sup>	195.00
00527	პესტიციდებით დაბინძურებული მყარი ნარჩენი (ინსინერაცია)	1კგ	3.70
00528	ქიმიური ნარჩენი	1ლ	7.20
00529	მეტალური ვერცხლისწყალი / თერმომეტრი	1გრ / 1ც	3.00
00530	სილიკაგელი (სილიციუმ მჟავა)	1კგ	3.80
00531	დაბინძურებული მიწა (ბიორემედიაცია მოიცავს პრეპარატების, გაწმენდის და ლაბორატორიული ანალიზების ღირებულებას)	1მ <sup>3</sup>	650.00

დამკვეთი: *0 25 1 0 7*



შემსრულებელი:



# საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნულ  
სააგენტო

საკადასტრო კოდი: **03.01.21.597**

ნაკვეთის დანიშნულება:


არასასოფლო სამეურნეო

განცხადების ნომერი: **882019528530**

ფართობი:

**1089 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**

მომზადების თარიღი: **05/07/2019**



05/25 მშენებარე ნაგებობა	05/25 შენობა/ნაგებობა	ტყის ფონდი
ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი	ხაზობრივი ნაგებობა	ვალდებულება















საქმე N4/824



ქუთაისის საქალაქო სასამართლო  
ქუთაისი, კუპრაძის ქ. 11

---

30.12.2021 წელი

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის  
დასავლეთის რეგიონული სამმართველო  
მისამართი: ქუთაისი, სადგურის მოედანი N3ა

გეგზავნებათ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 22 დეკემბრის  
დადგენილება.

პატივისცემით

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს  
მოსამართლის თანაშემწე  
იზოლდა ლოსაბერიძე



**დადგენილება**  
საქართველოს სახელით  
სიტყვიერი შენიშვნის გამოყენების შესახებ

22 დეკემბერი, 2021 წელი

ქ. ქუთაისი

ქუთაისის საქალაქო სასამართლო  
მოსამართლე მიხეილ ბებიაშვილი  
სხდომის მდივანი ალექსანდრე ხაჭაპურიძე

**სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი** - სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველო  
**წარმომადგენელი** - თამარ კუჭუხიძე

**ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში ბრალეული პირი** - ეკატერინე აბესაძე  
**წარმომადგენელი** - იოსებ აბესაძე

სასამართლომ ღია სასამართლო სხდომაზე განიხილა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოდან შემოსული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალები **ეკატერინე აბესაძის** მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტზე და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

1. 8.12.2021 წელს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მომართა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს უფროსმა ბენიკო შუბითიძემ და წარმოადგინა განსახილველად **ეკატერინე აბესაძის** მიმართ შედგენილი სამართალდარღვევის მასალები.

2. **წარმომადგენელი** სამართალდარღვევის მასალებით და სასამართლო განხილვისას დადგენილია შემდეგი:

2.1. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს გარემოსდაცვითი ინსპექტირების განყოფილების



მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის გიორგი გვენეტაძის მიერ 2021 წლის 29 ნოემბერს შედგენილი №065902 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მიხედვით, ეკატერინე აბესაძეს ავტოგასამართი სადგურის მშენებლობა, მოწყობა დაწყებული აქვს 2021 წლის ოქტომბრის თვიდან გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე.

### **3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანოს წარმომადგენლის განმარტება:**

**3.1.** გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა სამართალდარღვევის ოქმს.

4. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი დაეთანხმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმში მითითებულ გარემოებებს, და ითხოვა პატიება

5. წერილობითი მტკიცებულებები:

**5.1.** ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №065902 ოქმი;

**5.2.** ახსნა-განმარტება;

**5.3.** N11714/01 წერილი;

5.4. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

5.5. საინფორმაციო ბარათი;

5.6. ფოტოსურათები;

**6. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>-ე</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად**, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება ან სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება – გამოიწვევს დაჯარიმებას 7 000-დან 10 000 ლარამდე.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პირველი მუხლის შესაბამისად, აღნიშნული კოდექსი განსაზღვრავს, თუ რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სახდელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩამდენს. ამავე კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. ამავე კოდექსის 232-ე მუხლს პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება უნდა შეწყდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 237-ე მუხლის მიხედვით, ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს რა კანონით და

მართლშეგნებით, მტკიცებულებებს აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათს ერთობლიობაში, ხოლო 264-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალეა დაადგინოს: ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არის თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, აგრეთვე გამოარკვიოს სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

7. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება - ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ ქმედებას.

8. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლება ბრალეულის გულწრფელი აღიარება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, თუ ჩადენილია მცირე მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, მაშინ საქმის გადასაწყვეტად უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია გაათავისუფლოს დამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და დასჯერდეს სიტყვიერ შენიშვნას.

დასახელებული ნორმის ანალიზის საფუძველზე სასამართლო განმარტავს, რომ დამრღვევთა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების და სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადების საფუძველს წარმოადგენს მათ მიერ ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა, რომელიც საქმის გადამწყვეტი უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) მხრიდან მიჩნეული იქნება მცირე მნიშვნელოვანად. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კანონმდებელი ამ ნორმის გამოყენებაზე იმპერატიულ დათქმას არ ითვალისწინებს და ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების, სამართალდარღვევის ხასიათის და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით მის შეფარდებასთან დაკავშირებით დისკრეტულად უფლებამოსილებას საქმის განმხილველ ორგანოს (თანამდებობის პირს) ანიჭებს.

სასამართლო ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის გულწრფელ მონანიებას და იმ გარემოებას, რომ სამართალდარღვევა აღმოფხვრილია და აღიარდა, რომ მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლი - გამოეცხადოს სიტყვიერი შენიშვნა.

სასამართლო აქვე დამატებით განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელი წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ჩადენის აღსაზრდელად კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის აცილების მიზნით. აღნიშნული დებულების, აგრეთვე საქმის გარემოებებისა და სამართალდამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ **ეკატერინე ახესაძის** მიმართ სიტყვიერი შენიშვნის გამოყენების შემთხვევაში დაცული იქნება როგორც თანასწორობის, კანონიერებისა და პროპორციულობის პრინციპი, ასევე მიიღწევა ის მიზანი, რაც ზოგადად გათვალისწინებულია სამართალდარღვევათა კოდექსით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე, 79<sup>7</sup>, 266-267-ე, 271-ე მუხლებით,

### და ა დ გ ი ნ ა

1. **ეკატერინე ახესაძე (პ/ნ 60001034954)** ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილით. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად გათავისუფლდეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და გამოეცხადოს სიტყვიერი შენიშვნა.
2. დადგენილება გადაეცეს მხარეებს;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე ქ. ქუთაისი, ნიუ-პორტის ქ. №32), ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით (მდებარე ქ. ქუთაისი, კუპრამის ქ. №11).

მოსამართლე

*ბესიკ ბერიძე*



მიხეილ ბებიაშვილი